საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 2 23 0000079817

25/01/2023

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (მწვრთნელი)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. **გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები**

1.1 „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-5 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-9 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის

პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას პირობითი აკრედიტაციის შესახებ.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27[5]-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

2. **აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება**

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2022 წლის 28 ივნისის №723749 წერილით სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ იქნა სააკრედიტაციო განაცხადი „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (მწვრთნელი)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) 2022 წლის 18 ივლისის №818534 ბრძანებით, სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. დაწესებულებამ მაძიებლად ცნობის ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინვოისის შესაბამისად, 2022 წლის 29 ივლისის № 858313 წერილით ცენტრში წარმოადგინა საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. ცენტრის 2022 წლის 9 ნოემბრის №1432660 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2022 წლის 6 დეკემბერს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში. ხოლო, 2023 წლის 9 იანვარს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

2.2. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.3. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2023 წლის 10 იანვარს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, მიუხედავად ამისა შეფასება არ შეუცვლილა.

3. **სარეზოლუციო ნაწილი**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-5 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-9 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად, 13 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს **სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის** მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ**"ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (მწვრთნელი)" სამაგისტრო** საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია 7 წლის ვადით 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა **"ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (მწვრთნელი)" სამაგისტრო** საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2023 წლის 25 იანვრის №79797 სხდომის ოქმის № 11 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. საბჭომ ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და რჩევები გაიზიარა და განსაზღვრა შემდეგნაირად:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია სასწავლო კურსის „სპორტის ბიომექანიკა“ ადრეულ სემესტრებში შესწავლა;
2. სასწავლო კურსში „სპორტის ფსიქოლოგია“ შესაბამისობაშია მოსაყვანი კურსის მიზანი და შედეგები, შინაარსის მიხედვით განსაზაზღვრია კრედიტების და საათების რაოდენობა;
3. რეკომენდირებულია აკადემიური პეროსონალის მხრიდან კურსის სწავლის შედეგების შეფასების რელევანტური მეთოდების შერჩევა.
4. რეკომენდირებულია ყურადღება გამახვილდეს სავალდებულო ლიტერატურაზე, რადგან რამდენიმე სასწავლო კურსის სავალდებულო ლიტერატურა მოითხოვს განახლებას.
5. რეკომენდირებულია პერსონალის საერთაშორისო ტრენინგების და გადამზადების უფრო მეტად ხელშეწყობა დაწესებულების მიერ, საერთაშორისო პროექტებში ჩართვა, გამოცდილების გაზიარება და ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელება.
6. რეკომენდირებულია პროგრამის განხორციელების აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით სტაბილური უზრუნველყოფა, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
7. პროგრამის ფინანსური მდგრადობისთვის, რეკომენდირებულია სტუდენტების მოზიდვის კამპანიის განხორციელება და საგრანტო პროექტებში მონაწილეობა.
8. პროგრამის წინაპირობებში ზუსტად განისაზღვროს B2 დონის ენობრივი კომპეტენციის შესაბამისი TOEFL და IELTS გამოცდების ქულების ურთიერთშეფარდება.

რჩევები:

1. მიზანშეწონილია გადაიხედოს უნიფიცირებული კრედიტების და საათების რაოდენობა და მათი განაწილება სასწავლო კურსების სილაბუშებში;
2. სასურველია დაემატაოს სასწავლო კურსი, რომელიც სტუდენტს მისცემს ცოდნას და უნარებს სპორტულ წვრთნაში გამოყენებული თანამედროვე დიგიტალური ტექნოლოგიების შესახებ;
3. სასურველია სწავლების და შეფასების მრავალფეროვანი და თანამედროვე მეთოდების ინტეგრირება სწავლების პროცესში;
4. სასურველია პროგრამის წარმომადგენლებმა შეიმუშაონ ის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამომავლოდ სტუდენტების მეტად ჩართულობას პროგრამის თვითშეფასების, დახვეწისა და გაუმჯობესების პროცესებში;
5. სასურველია სამომავლოდ პროგრამის წარმომადგენლების აქტიური ხელშეწყობით, გაიზარდოს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, კონფერენციებში და კვლევით პროექტებში პროგრამის სტუდენტთა ჩართულობის მაჩვენებლი.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 25 იანვრიდან.
6. რეკომენდაციების შესრულების მიზნიღ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 2024 წლის 25 იანვარი
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციულ იკოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის

სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით



დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფიზიკური აღზრდა და სპორტი (მწვრთნელი)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	- -
3	სტატუსი	ავტორიზებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	22.05.2020 N 402809
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	- -
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	სპორტის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	- -
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	1014 სპორტი / Sports
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ი.ჭავჭავაძის გამზირი 49, ქ.თბილისი, 0162, საქართველო.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2023 წლის 25 იანვარი
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	2024 წლის 25 იანვარი
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2025 წლის 25 იანვარი